

მ წ უ ე მ ს ი

ი ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი .

მ ი რ ი .

უკრაინის იმპერატორებითი უდიდებულესობისა, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა, უწმიდესის და უმათებულებსის სინოდისაგან. საქართველოს სინოდის განტოროსადმი.

უკრაინის მებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა უფუმიდესმა და უმათებულესმა სინოდმა მოისმინა: წინადადება ნ სინოდის ობერ-პროკურორისა, 14 მაისიდან ამა წლისა, № 2292, მიღებისათვის ზომათა, რათა არ შეეძლოთ დაქორწინება პირთ, რომელთაც სამუდამოდ აღკრძალული აქვს დაქორწინება. ბ რ ძ ა ნ ე ს: ბ. სინოდის ობერ-პროკურორმა თავის წინადადებაში, 14 მაისიდან ამა წლისა, № 2292, განმარტა: ამ უკანასკნელ დროს შესამჩნევად გამრავლდა რიცხვი დაქორწინებათა, რომელნიც ეხლანდელი კანონებით უნდა ჩაითვალოს უკანონოდ და არა ნამდვილად. მანსაკუთრებით ხშირად ხდება ისეთ პირთა დაქორწინება, რომელთაც სასულიერო კონსისტორიის წესდების 253 მუხ. ძალით, უარი აქვს გამოცხადებული დაქორწინებაზე სასულიერო სამსახურლოსაგან; ამასთანავე შენიშნულია, რომ ამისთანა დაქორწინებათა შემასრულებელი საეკლესიო მოსამსახურენი სინამდვილით არ ასრულებენ კანონისაგან დადგენილ ქორწინების წინსახეში მისაღებ გაფრთხილებათა და მექორწინეთაგან იღებენ ისეთ საბუთებს, რომელთაგან საქმაოდ არა სჩანს, რომ ქორწინება შესრულებულ იქმნეს. ამ ბოლოს დროს მინც ასეთი დაქორწინება ხშირად ხდება და შეუძლია გაავრცელოს შემცდარი აზრი ამ ქორწინებათა კანონიერებაზე, ანუ შეიარეს ცხრით შეასუსტოს კანონის ძალა, რომელიც ზოგს უკრძალავს ქორწინებას, და შესაძლებელად ხდის გვერდი აუარონ ჯვარის წერსადმი დამაბრკოლებელ მიზეზთა, და ეინაიდგან ამავე დროს ეს გარემოება ამრავლებს განქორწინებათა რიცხვს (თუ ცოლ-ქმარნი თანხმანი იქმნებიან) საჭიროა გამონახულ იქმნეს ზომანი, რათა მოისპოს ეს ბოროტება. უწმიდესმა სინოდმა მიიღო რა სახეში, თავის მხრით, რომ საძღველოება ჯვარისწერის დროს სინამდვილით იცადეს კანონისაგან დადგენილ წესს და ითხოვდეს ჯვარის დასაწერ ობისკის შედგენისათვის ყველა იმ საბუთებს, რომელნიც ითხოვებიან კანონით, საჭიროდ ცნობს უსათუოდ შეასმინოს სამღველოებას, რომ მან ჯვარისწერის დროს არ ჩაიღინოს რაიმე გადრეკა კანონის მოთხოვნილებსაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სამღველოებამ რაიმე უკანონობა ჩაიღინა საქორწინო

ობისკების შედგენის დროს, დამნაშავე ეკლესიის კრებულნი სასტიკად დაისჯებიან. ამასთანავე, რადგან სასულიერო კონსისტორიის წესდებაში არ არის შესაფერი მუხლი, რომელშიაც სინამდვილით იყოს განმარტებული დასჯა საეკლესიო მოსამსახურეთა, რომელნიც ჯვარს დასწერენ პირთა, რომელთაც აკრძალული აქვსთ ჯვარისწერა, და მავილეთ რა მხედველობაში, რომ დასჯათა წესდებულების 1575 მუხლით (გამ. 1866 წ.), მღვდლებს რომის კათოლიკეთა, სომეხთ გრიგორიანთა, სომეხთ ფრანგთა და პროტესტანტთა აღსარების მქადაგებელთ შესრულებისათვის ქორწინებათა, რომელიც კანონით უნდა ჩაითვალოს არა ნამდვილად, იმ შემთხვევაში, თუ მათ ეს ჩაიღინეს წინ-და-წინ განზრახვით, ერთმევეთ სასულიერო ხარისხი და პატიმრდებიან სატუსალოში რვა თვ დგან ერთ წლამდე და ოთხ თთვემდე, ხოლო როცა პატოგ სადები მ-ზეზები აქვსთ, განსაკუთრებით გარემოებათა გამო, პირველ შემთხვევაში მათ ეცხადებათ სასტიკი შენიშვნა, მეორედ—სამსახურიდგან დათხოვნა, უწმიდესი სინოდი ძალიან კანონიერად ხედავს, რათა მართლ-მადიდებელ სამღველო-საეკლესიო მოსამსახურენი მესრულეპისაჲთა მათგან ისეთ პირთა ზედა ჯვარისწერისა, რომელთაც აღკრძალული აქვსთ ქორწინება, დაისჯონ სასულ. კონს. წესდების 189 მუხლის ძალით, რომელიც სჯის მღვდელ-მოსამსახურეთ იმიტანა პირთა ზედა ჯვარის-დაწერისათვის, რომელნიც უკვე ჯვარის-დაწერილნი არიან. და რომ მათ, რომელთაც ჯვარისწერის ნება არა აქვსთ, ვერ შეიძლონ სამღველოების მოტყუება, უწმიდესი სინოდი სასარგებლოდ რაცხს დადგენილ იქმნეს: 1) იმ პირთა დაქორწინების დროს, რომელნიც შედიან პირველ ქორწინებაში, უწინდელი ქორწინების განქორწინების შემდეგ, კრებულმა მოითხოვოს ამ პირთაგან, რიცხვთა შორის სხვა საბუთებისა, კანონიერი დამოუწმებელი პირი უწმ. სინოდს უკრაინის ცოლ-ქმართა გაყრის შესახებ, და 2) რომ წარწერანი საბუთებზე ჯვარისწერის აღკრძალვის შესახებ იმ პირთა, რომელთაც აღკრძალული აქვსთ ჯვარისწერა, უნდა მოხდეს სასულიერო კონსისტორიებში, რომელთაც ეალად ეღვიანებათ: ა) მოითხოვონ ასეთი საბუთები (ატესტატები, პასპორტები, მოწმობანი, და საცხოვრებელი მოწმობანი) ცოლ-ქმართა ჯვარისწერის გაყრის საქმის დაწყებისთანავე და შემდეგ, როცა უწმიდესი სინოდი დამტკიცებს ეპარქიალურ მთავრობათა გადაწყვეტილებას ცოლ-ქმართა გაყრის შესახებ და როცა დამნაშავეთ აღუკრძალავს ჯვარისწერას, გამოუცხადონ

ეს დადგენილობა პირთ, რომელთაც ეკრძალებათ ქორწინება და ამავე დროს მათ საბუთებზე დააწერონ და ბ) ამასთანავე ეს ზემო აღნიშნულნი დადგენილობანი აცნობონ ადგილობრივ მართებლობას ანუ მეფუროსე პირთ, რომელთა ექვემდებარებულნი ის პირნი, რომელთაც აღკრძალული ექნებათ ქორწინება და მასთან გაფორმდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირნი გამოიცვლიან თავის საბუთებს, წარწერანი ჯვარის-წერის აღკრძალვის შესახებ წარწერილ უნდა იქმნეს ახალს საბუთებზედაც. უწმიდესი სინოდი აღგენს, რათა ეს დადგენილობა ცირკულიარულა უქაზებით ცნობოს ეპარქიის მღვდელ-მთავრებს, სინოდის კანტორებს, მათ იმპერატორებთან უდადე-ბუჯესობათა მოძღვრებს და ჯარის და ფლოტის უმთავრეს მღვდელს, აღსასრულებლად და სახელ-მძღვანელოდ. იენისის 28 დღეს 1888 წელსა.

ნამდვილ უქაზზე ხელი უწერია: ობერ-სეკრეტრის მაგიერს ს. რომანოვსკის და სეკრეტარს სერგეი გრიგოროვსკის.

უწმიდესი სინოდის განკარგულება.

მასა იმპერატორებთან უდადებუჯესობას უწყებისამებრ უწმიდესმა სინოდმა მოახატაა წინადა-დება ბ-ნის სინოდის ობერ-პროკურორისა, 1891 წ. 7 იენისისა მე-157 №-ით, იმის შესახებ, რომ, უწმი-დესის სინოდის ამა 1891 წლის 27 თებელვლს —9 მარტის მე-625 №-ის გარდაწყვეტილების თანახმად, ბ-ნის ობერ-პროკურორს მოხსენება შეუუხანია სახელ-მწიფო საბჭოში; დამტკიცებულ იქნასა პროექტი იმ წესებისა, თუ როგორ იყოს წარმავებულ საქმე, ეინიცობაა დარღვეულ იქმნა 1890 წლის 14 მაისს უმაღლესად დამტკიცებული წესები საეკლესიო წმინდა სანთლის მომზადებისა, დაცვისა და გაყიდვის თაობაზედ. სახელმწიფო საბჭომ სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა, კანონთა და სახელმწიფო ეკონომიის შეერთებულს დებარტამენტებში და საზოგადო კრებაზედ განიხილა მოხსენება სინოდის ობერ-პროკურორისა და შემდეგი, მასის იმპერატორებთან უდადებუჯესობის მიერ უმაღლესად დამტკიცებულის ღირსად ცნობილი, მსჯავრი დასდო: ჯეროვან კანონ-დებულებათა შესაგებად და შესაცვლელად დადგენილ იქმნას: I. საეკლესიო წმინდასანთლის მომზადებისა, დაცვისა და გაყიდვის წესების დარღვევის საქმე (სას-ჯელთა წესდ. მე-43³ —48⁵ მუხ. განგრქ. 1890 წ.) უნდა სწარმოებდეს იმპერატორის ალექსანდრეს მე-II-ის წესდებათ შედგენილ სასამართლო დაწესებულებებში და უწინდელ მომართულ სასამართლო ადგილებში იმ რიგით, რომელიც დაწესებულია ჯეროვანს კანონებში სახელმწიფო გამგეობის წესდებათა დარღვევის საქმეთათვის, და ამასთანავე შემდეგი წესები უნდა იქმნას დაცული: 1) საქმის დაწყება და ატეხვა პო-

ლიციას უნდა დაედოს ვალად, მან უნდა შეადგინოს ოქმი აღმოჩენილ წესების დარღვევის შესახებ, აღსა-კვეთელი სანთლები დააპატიმროს და ადგილობრივს სასულიერო კონსისტორიას, ანუ უწმიდესის სინო-დის ქართლ ქახეთ-იმერეთის სინოდის კანტორას აუწყოს, რომ სისხლის სამართალში იქმნეს მიცემული წესდების დარღვეველიო. 2) საქმე შოპრიგებელ მოსამართლის განსამართლებას ექვემდებარება, თუ ფულად გარდასახადი ჯარიმა და აღსაკვეთელ სანთლე-ბის ფასი- თითოეული ცალკე, სამასს მანეთს არ აღემატება. 3) გამოძიებისა და განსამართლების დროს სახელმწიფო გამგეობის უფლება მინებდება სასულიერო კონსისტორიებსა და უწმიდესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორას. 4) თუ ამ საქმეში დამ-ნაშავეს სხვა რამ ბრალიც აღმოაჩნდა, სხვა ბოროტ-მოქმედებისა და დანაშაულისათვის მიჩენილი სასჯელი ვერ ააცილებს თავიდგან ფულად ჯარიმასა, საეკლე-სიო წმინდა სანთლის მომზადებისა, დაცვისა და გაყიდვის წესების დარღვევისათვის დადებულს. II. იმ ადგილებში, სადაც ერობის უფროსების დებულებაა შემოდებული, საეკლესიო წმინდა სანთლის მომზა-დებისა, დაცვისა და გაყიდვის წესების დარღვევის საქმე, ყოველს შემთხვევაში, თუ ფულად გარდასახ-დელი ჯარიმა და აღსაკვეთელ სანთლების ფასი, თითოეული ცალკე, სამასს მანეთს არ აღემატება, ექვემდებარება უწყებას ერობის უფროსებისას, ანუ ქალაქის მოსამართლეებისას, და სწარმოებს იმ რიგით, რომელიც დაწესებულია სახელმწიფო გამგეობის წესდებათა დარღვევის საქმეთათვის და ამასთანავე დაცულია წინა (I) მუხლი 1, მე-3 და 4 პუნქტში აღნიშნული წესებიც. III. საეკლესიო წმინდა სანთლის უქანონო ვაჭრობის საქმენი, თუ დაწესებულია საეკ-ლესიო წმინდა სანთლის მომზადებისა, დაცვისა და გაყიდვის შესახებ 1890 წლის 14 მაისის კანონის გამოცემამდე, შეიძლება წარმოებულ იქმნას უწინდ-ლის რიგით, ხოლო დამაშავეთა მიმართ იმ სასჯე-ლითაც უნდა იხელმძღვანელონ, რომელიც დაწესე-ბულია უმაღლესის ბრძანებით 1888 წლის 28 აგვისტოს. ხელმწიფის ნებისა აღსასრულებლად დედანი ამა უმაღლესის ბრძანებისა ბ-ნ ობერ-პროკურორის მიერ წარედგინა უმართებულესს სენატს. ბრძანებს: „უწყოს საეკლესიო უწყებანი“-ს რედაქციას, რომ ამა წლის მაისის 27-სა დღეს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა ახრი სახელმწიფო საბჭოთა იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქმნას წარმავებულ საქმენი საეკლესიო წმინდა სანთლის მომზადებისა, დაცვისა და გაყიდვის, 1890 წლის 14 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ, წესების დარ-ღვევისა, რადა დაბეჭდულ იქმნას სასულიერო უწყე-ბის საყოველთაო საცნობლად“.

მწყმმსი



ნე ვარ მწყმსი კეთილი: მწყმსმან ეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწემედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ღუკ. 15—4).

ზოგადით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ჭვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 17

1883-1891

16 სექტემბერს

შინაადასი: იფიც. ნაწლი: განკარგულენი უწმინდესი სინადისა. — ანა იფიც. ნაწლი: ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების ბეჭდის საქმე. — ბეტრუბურგი დამ. — ბატ. მთავრელი შვილის წიგნისა გამო. — ახლად აღმკრებული წმ. გიორგის ეკლესიის გურთხევა ქალაქ ქუთაისში. — ახალი ამბები და შენაშენება. — გუჯრები. — სიკუჯ, თქმუაი იმერ. ეპისკოპოსის განბრევისაგან 29 აგვისტოს. — განცხადებანი.

ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების ბეჭდის საქმე

ამ საპატრო კითხვას არა ერთი სტატია უძღვენით ჩვენ როგორც ჩვენს გამოცემაში, ისე სხვა ქურნალ-გაზეთებში. ახავე საგნის შესახებ ბატონმა ქათლოსის-ძემ გრძელი სტატია დაიქცა «იეროია»-ში, მაგრამ ყველა ამ დაწერილი სტატიებიდან კიდევ ეგ უმეტესობა მითხველი, თუ ა მდგომარეობაში იყო და არის დღე ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების ბეჭდის საქმე ჩვენი. ჩვენ დავბრძოლეთ მითხველებს, რომ ჩვენის შესახებ ს უკას და აი ვას-რულებთ ეხლა.

როგორც მითხველიც დაინახავდა წარსულს წლში ჩვენგან დაბეჭდილი სტატიებიდან, წიგნის ბეჭდის საქმე საზოგადოთ თან-და-თან აღივლიდა, უმჯობესდებდა და იაფდებდა. მაგრამ ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების ბეჭდის საქმე კი ამ საუკუნის დასაწყისიდან თან-და-თან ძნელდება და ძვირდება. მადათვალვირეთ ათას რუბლს სამოც წლამდე მოსკოვში დაბეჭდილი საეკლესიო ჩვენი წიგნების ფასი და შედარეთ თბილისში დაბეჭდილ საეკლესიო წიგნების ფასს და თქვენ ცხადათ დარწმუნდებით, რომ თბილისში დაბეჭდილი წიგნების ფასი უფრო მეტია მოსკოვში დაბეჭდილ წიგნების ფასსზე. იქნება იფიქროს კაცმა, რომ ეს მეტი ფასი გამოწვეული იყო

წიგნების საბეჭდადვის გამართვისათვის პირველ ხანებში. სრულყოფილი არაა. სტამბის გამართვისათვის, როგორც წინეთაც ვამბობდით, ერთ ღრობითად დაუხარჯავს ქრისტიანობის აღადგინებელ საზოგადოებას ათი ათასი მანეთი, მაგრამ წერილი წიგნების ქაშის, ლოცვის და კონდაკის ბეჭედა მინც შესაძლოდ ვერ დაუნახავთ იმ ფასად, რა ფასადაც ეს წიგნები იბეჭდებოდნენ მოსკოვში. საზოგადოება თითქმის შეეჩეია ამ წიგნებზედ მომეტებულ ფასს და უკმაყოფილებას არაყინ არ აცხადებდა. უკანასკნელს დროს დაიბეჭდა უკში და კონდაკი. უკანასკნელ დროს მოსკოვში დაბეჭდილი წიგნების ფასზედ მოემატა 100%—150%. წინედ ამ წიგნებს ყიდულობდნენ შვიდ აბაზად და დღეს ერთაზად გახდა თითქმის სამ მანეთად. ეს კი ძლიერ საგრძნობელი იყო საზოგადოებისათვის. მაგრამ ანდაზად არის თქმული: «როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს». მთუ საჭიროება მოითხოვს, მეტი ღონე არ არის, უნდა იყიდონ... მაგრამ ამ წიგნებზე ფასის მომატებაზედ კიდევ სხვა უფრო საპატიო რამ იყო, რომლისათვისაც ყველას უნდა მიეცია ყურადღება. სინოდალნი კანტორას თავისუფალი ფული არ ჰქონდა, რომ დაეხარჯა ამ წიგნების დასაბეჭდად, ამისათვის ყველა წიგნები ღარიგდა ეკლესიებზედ იმ ბრძანებით, რომ წიგნების ხვედრი ფასი წარედგინათ დაუყონებლივ. მართლის ეპარქიიდგან, როგორც იქნა, შეიკრიბა ფულები, მაგრამ იმერეთის და ბურია-სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიებიდგან არ შეიკრიბა. ამ ორ ეპარქიაში ზოგან აღმოჩნდა, რომ ეს წიგნები ოროლი ცალი ჰქონდათ თითო ეკლესიაშიდ და ახალი წიგნების ყიდვას საჭიროდ არ რაცხდნენ და ვისაც ესაჭიროებოდა, კიდევ დაიტოვეს. ამ დროს ვინც მიდიოდა თბილისში ზემოხსენებული წიგნების სასყიდლად, ხელ-ცარიელი ბრუნდებოდა უკან, რადგან ყველა წიგნები ღარიგებული იყო სოფლის ეკლესიებზე. ბოლოს ეს წიგნები ისევ უკანვე დაიბრუნეს თბილისში და ცოტა ხნის განმავლობაში შეიძლება იშოვოს კაცმა ეს წიგნები სასყიდლად და შემდეგში, ისიც ძალიან მოკლე დროში, ისევ ხელ-ახლად უნდა დაიბეჭდოს...

პარაკლისის წიგნი 1863 წელში მოსკოვში დაბეჭდილა ოთხ აბაზ უხალთუნად. ჩვენში კი ისე ყიდებოდა ეს წიგნი მანეთად. აღიძრა კითხვა სინოდალნი კანტორაშიდ ამ წიგნის დაბეჭდვის შესახებ. ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ

წიგნს ფასი თუ მოემატებოდა, თორემ არ მოაკლდებოდა, თუ სახეში მივიღებთ სხვა აქ დაბეჭდილი წიგნების ფასს. ჩვენ განუცხადეთ სინოდალნი კანტორას სურვილი ამ წიგნის დაბეჭდვისა და კიდევ დაბეჭდეთ ჩვენი ქალაქით, ჩვენი ახვე ანგარიშით დაკაზმული 1500 ვგზ. ჩავაზარეთ კანტორას თითო ცალი სამ აბაზად და ერთ შაურად. მანსხვაება ამ წიგნში მხოლოდ ის არის, რომ სინგური არ არის ნახმარები. მა წიგნებიც ყველა ეკლესიებს დაერიგა საექსარხოში, და ძლიერ მცირე დარჩა გასასყიდლად...

სინოდალნი კანტორის წიგნების საწყობში ერთი დიდი წიგნი, ვგონებ, ოც-და-ხუთი-დაა დარჩენილი და ცოტა ხნის შემდეგ ამ წიგნის შოვნა აღარ შეიძლება. რასაკვირველია, საჭირო შეიქმნება ამ წიგნის დაბეჭდვა, რომელიც გამოიწვევს შვიდი ათას მანეთამდე ხარჯს. სინოდალნი კანტორას თავისუფალი ფული არ ექმნება და წიგნები ღარიგდება ეკლესიებზედ, როგორც სხვა წიგნები ღარიგდა. რისთვის უნდა იყიდოს უმეტესმა ეკლესიებმა ეს წიგნი, როდესაც ამისთანა წიგნები იქნება ოროლიც იმეკანებოდეს ერთ ეკლესიაში? მართი სიტყვით, ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი გამოვიკელიეთ, მაგრამ იმის მ-გავისი წიგნების ბეჭდვა, როგორც ჩვენში არსებობს, ვერსად ვერ შევამჩნიეთ. საზოგადოდ ყველგან და ყველასთვის წიგნების ბეჭდვის საქმე გაადვილებული და გაიაფებულია და ჩვენი ეკლესიებისათვის კი გაძნელებული და გაძვირებულია. რისგან ხდება ამ საქმის გაძნელება და საღმრთო—საეკლესიო წიგნების დაძვირება? მანა ჩვენებური წესი არსებობს რუსული და სლავიანური წიგნების ბეჭდვის საქმეში? როგორ შეიძლება დაეხმაროს კაცი ამ საქმეს და საეკლესიო წიგნების ბეჭედა ჩვენში გაადვილოს და გაიაფოს? ამ კითხვებს შემდეგ დროში, შეძლების გვარად, განვმარტავთ.



კ ა ტ ე რ ბ უ რ გ ი დ ა მ .

მ 0-ს ავგისტოს პეტერბურგმა დიდებულად იღლე-სასწაულა თავისი მჟარველის კეთილ-მორწმუნის დიდის მთავრის წმ. ალექსანდრე ნეველის წმ. ნაწილთა გადმოსვენება და ხელმწიფე იმპერატორის და მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის სახელწოდების

და მისი დიდებულების ვირტუებერგის დედოფლის მღვა ნიკოლოზის ასულის დაბადების დღე.

ამ დღეს სახლები დილიდან მორთული იყო ბაიჩახებით. ნევის, ზღვის და სხვა დიდ ქუჩებზე, მალაზიების ფანჯრებში და ნახებით მორთულ ბალკონებზე გამოქანდაკებული იყო სურათები და წარწერილი სახელები მათ დიდებულებათა. სამხედრო და სავაჭრო ხომალდები მდ. ნევაში მორთული იყვნენ სხვა-და-სხვა ბაიჩახებით. სატახტო ქალაქის ყველა ეკლესიებში ამ დღეს შესრულებულ იქმნა წირვა და წირვის შემდეგ გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისები.

ფილის ცხრა საათის ნახევარზე ისაკიევის საკრებულო ტაძარში შეიკრიბა ადგილობრივი სამღვდლოება. აქ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი წმ. ალექსანდრე ნეველის სახელზე, შემდეგ მთელი სამღვდლოება შემოსილი ლიტანიით გაემგზავრა წმ. სამების ალექსანდრე ნეველის მონასტერში.

წყლის კურთხევის შემდეგ მონასტრის ძმანი, რომელთაც წინ უძღოდნენ მგალობლები, გაემგზავრნენ ტაძრიდან თავის წინამძღვრის მაღალ ყოველად უსამღვდლოესობის ნოვგოროდის და პეტერბურგის მიტროპოლიტის ისიდორეს შესაგებებლად. მათი მეუფება შებრძანდა ტაძარში. მგალობლებმა იგალობეს დღესასწაულის შესაფერი სავალობლები. როცა მათი მეუფება ემთხვია ხატებს და წმ. ნაწილთა, შემდეგ შეიმოსა. საკურთხეველიდან გამოვიდა საქართველოს ექსარქოსი მაღალ ყოველად უსამღვდლოესი პალლადი სხვა მღვდელ-მთავრებთან ერთად. მიტროპოლიტმა მღვდელ მთავრებითურთ შესრულა სამადლობელი პარაკლისი მუხლ-მოდრეკით წმ. ალექსანდრე ნეველის ლუსკუმის წინაშე.

მერთმეტ საათზე ტაძარში შეიკრიბნენ სასახლის მოსამსახურენი, დესპანები, სადიპლომატო კორპუსის წარმომადგენენი, სახელმწიფო რჩევის წევრნი, მინისტრები (სამხედრო—გენერალ-ადიუტანტი პანოვისკი, შინაკან საქმეთა—სტ. სეკ. ლურნოვი, სახალხო განათლებისა—გრაფი ფელიანოვი, სახელმწიფო ქონებათა სტ. სეკ. მსტროვისკი, გამგე ზღვის სამინისტროისა ვიცე-ადმირალი ჩინაჩოვი, ობერ-პროკურორი უწ. სინოდისა პ. პ. პობედონოსევი, სახელმწიფო კონტროლერი ა. ი. შილობოვი, გამგე მისი დიდებულების საკუთარი კანცელიარისა სტ. სეკ. რენენკამიფ და სხ.), სენატორები, საპატიო აპეკუნები, გენერალ-ადიუტანტები და იმ-

პერატორის ამაღლის პირნი, შტაბს და ობერ ოფიცრები, სამოქალაქო უწყების უმაღლესი პირნი და აზნაურნი.

ტაძრის სტოვის მახლობლად დადგნენ მცველნი, ხოლო მოედანზე საუფლო კარების პირ-და-პირ საპატიო მცველნი. მონასტრის მახლობლად, მოედანზე და ნევის დიდს ქუჩებზე იდგა ხალხი. როცა სამღვდლოება ლიტანიით მიემგზავრებოდა მონასტრის ტაძარში, ყველა ეკლესიებში, რომელთა მახლობლად უნდა გაეარა ლიტანიას, რეკდნ ზარებს და ლიტანიის შესაგებებლად გამოდიოდა სხვა-და-სხვა ეკლესიების სამღვდლოება. შაზანის ტაძართან სამღვდლოებას შეუერთდა ადგილობრივი სამღვდლოება ღვთისმშობლის სასწაულთ მოქმედის ხატით.

როცა მონასტრის ზარების რეკამ ანიშნა ქალაქის სამღვდლოების მოახლოება, მონასტრიდან შესაგებებლად გამოვიდა სამღვდლოება ჯვართ. მონასტრის სამღვდლოება მიდრული ფარჩის შემსამოსლებით შემოსილნი მწკრივად მიდიოდა და წინ მიუძღოდნენ ნევის და მონასტრის ძმათა მგალობელნი ჯვრებით და ბაიჩახებით. მთხი არქიმანდრიტი, რომელთა შორის იყო წინამძღვარი მონასტრისა ისაია და მღვდელთ-მთავარი: ნიკანდრი, ნავრის ეპისკოპოსი, ანტონი, ეპისკოპოსი ვიბორგსკისა, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორი, წევრნი უწმიდესი სინოდისა, ეპისკოპოსი მარკელი და მაღალ ყოველად უსამღვდლოესი საქართველოს ექსარქოსი პალლადი მონაწილეობას იღებდნენ ამ პროცესიაში, რომელსაც უკან მიყვებოდნენ სხვა ქალაქებიდან დღესასწაულზე მოსული არქიმანდრიტები და წინამძღვრები, მანტიით შემოსილნი.

მთელი ლიტანია დადგა ტაძრის კარებში. ჯარი დაიჩაზმა. მუზიკამ დაუკრა, მგალობელთ იწყეს «აცხოენე, უფალო, ერი შენი». ამ დროს შეერთდა ორი ლიტანია. შმიდა ხატები შესვენეს დიდ ტაძარში და დაწყევს კანკელის წინ. ქალაქის საღვდლოება შევიდა ტაძარში, ხოლო მონასტრის სამღვდლოება დარჩა ალაყაფის კარებთან მათი იმპერატორებითი გვარეულობის შესაგებებლად.

მაღე მობრძანდნენ მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი დიდი მთავარი პონსტანტინე პონსტანტინეს ძე თავისი მეუღლით და დიდი მთავარი დიმიტრი პონსტანტინეს ძე. დიდმა მთავარმა პონსტანტინეს ძემ ჩამოუარა საპატიო მცველთა და მიესალმა მათ. შემდეგ მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი ემთხვიენ ჯვარს.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მიტროპოლიტი ისიდორე ტაძრის სტოვაში მიეგება მათ იმპერატორებითი უმალღესობათ. მათმა მეუფებამ მღვდელ-მთავარ ანტონით, ოთხი არქიმანდრიტით და ორი წინამძღვრითურთ დაიწყა წიგნა, რომელზედაც ვალობდენ მგალობელთა ორი დასი—მარჯვნივ - სასახლის მგალობელნი, ხოლო მემორეს მხრით ლავრის მგალობელნი.

წირვის გათავების შემდეგ, საკურთხეველიდამ გამობრძანდა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მიტროპოლიტი, ექსარხოსი და სხვა მღვდელ-მთავრები მანტიით და მიულოცეს მათ იმპერატორებითი უმალღესობათ. ამ დროს პეტრე-პავლეს ციხის კოშკი-დამ იწყეს ზარბაზნის სროლა. მათი იმპერატორებითი უმალღესობანი ემთხვიენ წმ. ალექსანდრე ნეველის ლუსკუმას და ხატებს.

ლიტანია ერთი მღვდელ-მთავრის წინამძღოლობით გაემგზავრა მონასტრიდამ უკანვე ისაკიევის ტაძარში.

მონასტრის ტაძარში მთელ ამ დღეს ასრულდენ პარაკლისს წმიდანის ლუსკუმის წინ.

ამასობაში მონასტერში წირვის მოსასმენად მოსულნი პირნი გაემგზავრნენ მიტროპოლიტის სახლში, სადაც მათთვის მომზადებული იყო საუზმე.

საქართველოს ექსარხოსი, რომელსაც წინ მიუძღოდენ მგალობელნი და მონასტრის ძმანი ლოცვა კურთხევას აძლევდა ხალხს. მათ შემდეგ მობრძანდებოდნენ მათი იმპერატორებითი უმალღესობანი, რომელთაც, შევიდნენ თუ არა მიტროპოლიტის სახლში, ისაუზმეს მათი მეუფების საკუთარს კაბინეტში. ზალაში იყო ალექსანდრე ნეველის მონასტრის მგალობელნი.

პირველად დალიეს სადღენგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცისა და მემკვიდრე ცესარეიჩისა. ამ დროს მგალობელთ იგალობეს «ღმერთო დაიფარე მეფე», ხოლო შემდეგი სადღენგრძელოებისა ვალობდენ მრავალქაშიერს.

როცა მიტროპოლიტის სასახლეში სტუმრები საუზმობდენ, ხალხით სავსე იყო მონასტრის ეზო. მიტროპოლიტის ბაღში გაშლილი იყო სუფრა საიმპერატორო კაცთ-მოყვარე საზოგადოების მოსამსახურეთათვის.

მთელი დღე საღამოს ექვს საათამდე მიტროპოლიტის ბაღი ვაღებულ იყო ხალხის სასვირნოდ.

ბატონი მთვარელიშვილისაგან ჩვენი გამოწვევა მედიატორულ სამართალში.

«ივერია»-ში ეკითხულობთ შემდეგ ღია წერილს: «ივერიაში» დაბეჭდილი იყო სტატია ქართლოსის. ძისა სათაურით „მოკლე მიმოხილვა ჩვენი სამართალისა და საეკლესიო წიგნების მდგომარეობისა“, რომლის გამო თქვენ «მწუქსისს» №№ 13 და 14-ში დაარკვიეთ ლიტერატურული ზრდილობა, უმართლესობებით შეჭლასკო ჩემი პაროქენა და დამსასკო ქურდად თელავის სასულიერო სასწავლებლის ოქჯის სამღვდელთა ოფულებას, რაიც მე აშკარა ცდის-წამებად მიმაჩნია, ამისთვის, რადგან თქვენც ჩემგან შეუარეს. უფიქვად და ცილ-დაწამებულად ჰსადით თქვენს თავსაც, მართებულად ვარცხ, რათა ამ საქმის განსამართლებს მივანდეთ მედიატორეთა სამართალს, რომელთა განხილვა საკადდებულ იქმნება ორისაკე მხარესთაგის. ეს განხილვა უნდა დაიბეჭდოს რეკორდს «ივერიაში», აგრეთვე «მწუქსში». მე ჩემის მხრით ვასახლებ ბუნს ნიკოლოზ ზებუაქსძეს ცხვედმეს და მ. დეკანოზს პეტრე კონხუაშვილს. უკეთუ ამ დასახლებულ გავით წინააღმდეგ თქვენ ანაფერი გაქვთ, თქვენც დასახლებულ მესამე და ამ სამით თავიანთ შორის აღიჩინონ თავმჯდომარე, ხოლო უკეთუ თქვენც ისურვებთ ორის მედიატორეს დასახლებას, ინებეთ, და ამ ოთხთ თვითვე ამოაჩინონ თავმჯდომარე თავიანთ სურვილისამებრ.

ნიკოლოზ ვასილის ძე მთვარელიშვილი.

ბატონი ბრძანდებით! სრული თანახმა ვახლავართ! ჩვენი მხრით მედიატორებათ ვასახლებთ იოსებ თადეოზის ძეს სანებლიძეს და დეკანოზს იოანე აბაშიძეს და ამ ოთხ პირთ მივანდობთ აირჩიონ თავმჯდომარეთ, ვინცა სურსთ.— ბინაც მორთული და მოწყობილი განლავს მსაჯულებისათვის. მობრძანდით!

ეს ასე იყოს... მამ ქართლოსისძე თქვენ ბრძანებულხართ,— ჩვენც უნილბო მწერალთან გვირჩევნია ბასი. დაპირებისა მებრ ჩვენ ვავრძელებთ წერას იმავე საგანზე და გთხოვთ, ბატონო მთვარელიშვილო, ჩვენ მიერ უკვე დაუყენებულ კითხვებზედ ამ საგნის შესახებ და აგრეთვე იმ კითხვებზედაც, რომელთ შემდეგი ბასი გამოიწვევს, პირ-და-პირი და გადაჭრილი პასუხი გვაძლიოთ. ჩვენც მზად ვართ, თქვენ კითხვებსაც გადაჭრილი პასუხი გავსცეთ. დეე, სამართალი სამართლად წავიდეს,— მაგრამ საქვეყნო სასაცი-

ლო საქმეს მაინც ნუ ინებებთ, ბატონო მთვარელიშვილო, თვით იმ საკამათო საპატიო საგანს, რომელმაც გაიძულათ მედიატორების სამართლის დანიშვნა, ნუ დასტოვებთ უუურადღებოთ და დაუბოლოვებლად... *)

დებანოზი დავით ლამბაშიძე

ახლად აღშენებული წმ. გიორგის ეკლესიის კურთხევაჲ ქ. ქუთაისში.

ქ. ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა მხარეზე, ვერედ წოდებულ არქიერის გორაზე, არის ერთი ცალკე სამრევლო, რომელსაც ჰქონდა ერთი მეტისმეტად პატარა და შეუმკობელი ეკლესია. მრევლი შეჩვეული იყო ამ პატარა ტაძარს და სრულებით არ ფიქრობდა ახალი ეკლესიის აღშენებას. მაგრამ დაინიშნა თუ არა იმერეთის ეპისკოპოსად ყოვლადსამღვდლო ბაბრიელი, მათმა მიუფებამ მაშინვე მიაქცია ყურადღება ამ ეკლესიას და წინადადება მისცა მრევლს ახალი ეკლესიის აღშენების შესახებ. მრევლი შეუდგა თავისი საყვარელი მწყემსთ-მთაფრის წინადადების აღსრულებას. მოიბოჭა სამრევლოში ფულები და შეუდგნენ ახალი ტაძრის კეთებას. ჩაჰყარეს ბალაფერი, მაგრამ შემდეგ ტაძრის შენება შეჩერდა სამრევლოს სიღარიბისა და სხვა დასხვა პატივ-სადებ მიზეზთა გამო. მრევლის დანხარებით და კერძო პირთაგან მოგროვებული ფულებით ეკლესიის შენება თითქმის მოთავდა, მაგრამ კიდევ ბევრი იყო საჭირო. 1888 წ., როცა ქუთაისში მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი, მათ უდიდებულესობას კომიტეტმა მიართვა თხოვნა და სთხოვა შემწეობა. მართლაც უმაღლესის ბრძანებით უშუადაცმა სინოდმა მისცა კომიტეტს 3000 მანეთი. ამ ფულებით წელს მთლად მოთავდა ეკლესიის შენება და ამა თთვის 15, კვირას, ეს ახალი ეკლესია აკურთხა ყოვლადსამღვდლო ბაბრიელმა. ეკლესია მთლად საცეს იყო მოლოცვლებით და ყველას დიდი სიხარული ეტყობოდა პირის სახეზე. წირვის გათავებას შემდეგ მათმა მიუფებამ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

ყოველი სახლი აღშენდების ვისმეს-განმე, ხოლო რომელმან ყოველი აღაშენა, ღმერთია (ებრ. 3, 4).

«ღიდება, ქება და მადლობა ზეციერსა ღმერთსა, მამასა ჩვენსა, რომელმან აღაშენა ეკლესია ესე

*) გსთხოვთ («ივერიის») რედაქციას, რომ ეს ჩვენი პასუხი ბ. მთავარელიშვილის წერილის შესახებ გადახეჭდოს თავის გაზეთში.

ხელითა მორწმუნეთა მისითა მონათასა და დღეს განგებნარა ჩვენ მისითა კურთხევითა. ეკლესია ესე აღაშენდა საშუალო მრავალთა ნაკლულეევანებათა, დაბრკოლებათა, შრომათა, მწუხარებათა და დღეს კი მადლითა ღვთისათა იქნა იგი ყოველის მხრით შესრულებული და შემკული. მეება, მადლობა და კურთხევა ღვთისაგან ყოველთა მათ, რომელნი ეწოდნენ ნიფთიერად, ანუ სიტყვით, შრომით, ანუ რჩევით შემკობასა და შესრულებასა ამის ეკლესიისასა. ბარნა საკუთრად და უმეტესად თქვენ, შემავალთა და მრევლთა ამის ეკლესიისათა უნდა გიხაროდესთ და მადლობის შემწირველი იყოთ ღვთისადმი, მხედველთა კურთხევისა ამის ეკლესიისათა, სიმართლით და პირ მოუთენებლად უნდა ესთქვათ, რომ ამისთანა მშენებელი და შესაფერი ეკლესია არ აღშენებულა ჩვენს სამწყსოში არა თუ ამ მოკლე დროში, ჩვენისა აქ მყოფობისა, არამედ, განმავლობასა შინა ორისა საუკუნოისა, გარდა, რასაკვირველია, ქუთაისის საკათედრო ტაძრისა.

მაგრამ ვეკრძალოთ და გვეშინოდეს, ძმანო, რომ ჩვენ თავს არ მივაწეროთ ეს საქმე და გულდღი არ შევიქნეთ, რომ ამისთანა ეკლესია აღშენდა აქ, ბევასოდეს ყოველთგინ ის სიტყვები საღმრთოისა წერილისა, რომლითაც ჩვენ დავიწყეთ ეს უბნობა. «ქოველი სახლი აღშენდების ვისგანმე, ხოლო რომელმან ყოველივე აღაშენა ღმერთია». ჰეშმარიტად, როდესაც გავისიხვენებთ, თუ რამდენი ხანი გავიდა მას უკან, რაც ამ ეკლესიის საძირკველი ჩაყარა, და რამდენი წელიწადი გავიდა, რომ საძირკვლის მეტი არაფერი იპოვებოდა აქა და ბოლოს მოულოდნელად, წარმატებით და მოკლე ხანს შესრულდა ამის შენება და რა სახით თან-და-თან გვემატებოდა საშვალეებანი ფულით და სხვა-და-სხვა შემწირულებით და ესრეთ წარმატებით შეიმკო და შესრულდა შენობა ესე, მაშინ უნებლიეთ ვიფიქრებთ, რომ თვით ღმერთი, ლოცვითა მისი დიდის წმ. მოწამისა ბიორგისათა, რომლის სახელი ეწოდა ამ ეკლესიას, შეეწია საქმესა ამას.

ახლა, რადგანაც დიდი წმ. ბიორგი ვახსენეთ და ეს ტაძარი მის სახელობაზედ არის აღშენებული და იგი იქნება მცველი და მფარველი არა თუ ამა შენობისა, არამედ მთელისა ჩვენისა მხარისა, კიდევ უნდა გვაგავრძელოთ სტყვა მასზედა, თუ ვინ იყო იგი? იგი, სხვათა შორის, დიდი მოწამე იყო სხვათა შორის მოწამეთა ღვთისათა. რად ეწოდება, ძმანო, მათ მოწამე? მისი მოწამე იყვნენ იგინი? რას ეწამებოდნენ იგინი? იგინი იყვნენ იესო ძრისტეს მოწამენი, მისი სახარების, მისი საქმის, მისი მაცოცხარებისა. ქოველთგინ და ყოველგან ისინი ეწამებოდნენ, რომ ძრისტე ღმერთი იყო ნამცვლი ძე ღვთისა და მაცხოვარი ჩვენი და ჰეშმარიტი სიტყვა ღვთისა ზეციდგან მოიტანა მან და გვიტოხრა ჩვენ და რომელ ეს სიტყვე

ღვთისა სახარება, სჯული, არის ერთი მხოლოდ ქრისტიანული სიტყვა და სჯული. მინ და სად თხოულობდენ მათგან ამისთანა მოწმობას? თხოულობდენ მაშინდელი მთავარი და ხელმწიფენი, წარმართნი, მრავალ ღმერთიანი, უღმერთონი, აგრეთვე ურბანისა, რომელთა, თუმცა ქრისტიანული ღმერთი სწამდათ, მაგრამ ძე მისი მხოლოდ შობილი არ მიიღეს, არ იწმუნეს და ჯვარს აცვეს. რა ნაირად ასრულებდენ დიდი წმ. ბიორგი და სხვანი მოწამენი ამ მოწმობას? — მრავალ ფერად და მრავალ სახით: სიტყვით, საქმით, ტანჯვით, წვალებით, სისხლის დანთხევით, სიცოცხლით და სიკვდილით. ძრისტეს სჯულისათვის, მისი სახარების გავრცელებისა და დამტკიცებისათვის არაფერს არ ზოგვიდნენ ვიდრე სისხლის დათხევამდე და სიკვდილამდე, მაგრამ წმ. ბიორგი არის ერთი უდიდესთაგანი თითქმის ყოველთა სხვათა მოწამეთა შორის. პირველად მით, რომ იგი იყო სამეფო სახლში ნაშობი, მდიდარი და წარჩინებული და ძრისტეს გულისათვის ყოველიფერი ღირსეული ჰყო და იმოდენი სხვა და სხვა ფერი ტანჯვა და წვალება მიიღო, რომ ვერც კი წარმოიდგენს კაცი; ამისთვის მას ღმერთმა მისცა, მიანიჭა დიდი მადლი. მისი ნაწილი ყოველგან აღმოაჩენებენ სასწაულთა და კურნებათა. შოველნი ერთი ქრისტიანეთანი მას პატივს სცემენ უმეტესად ყოველთა სხვათა მოწამეთა, მეტადრე ჩვენს ქვეყანაში — საქართველოში თითქმის ნახევარი ეკლესიისი მისს სახელობაზედ არიან აღმშენებულნი.

ძანო, მართლ-მადიდებელნი ქრისტიანნი, ჩვენცა ყოველნი ქრისტიანნი ვართ და უნდა ვიყენეთ თავის-და-გვარად მოწამენი ძრისტესნი სოფელსა ამას შინა ცოდვილსა და გელარძნილსა. ის ქრისტიანი კაცი, რომელსაც იესო ძრისტე გულით და სულით სწამს და უყვარს, თავიანთა სცემს მასს და მისს მცნებათა ასრულებს, ამით იგი აღბეჭდავს სიმაართლესა ძრისტესა, მეტადრე ყოველიფერი მწუხარებას ითმენს და ძრისტეს გულისათვის მიიღებს ყოველსა ყვედრებასა და მწუხარებასა. ხოლო კაცი იგი, თუმცა ეწოდება სახელად ქრისტიანი, მაგრამ საქმით კი არ ამართლებს ძრისტეს სჯულსა, არ წმუნობა აქვს სუსტი, სიყვარული მცირედი და გრილი — იგი ცრუ მოწამე არის ძრისტესი, ანუ პირ-და-პირ ვიტყვი, ძრისტეს ცილის მწამეელია. თვით მაცხოვარმა სთქვა: რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ე. ი. გაამართლოს სიტყვით და საქმით ჩემი სჯული, მეცა აღვიარო იგი, ანუ გაამართლო წინაშე მამისა ჩემისა.

ქეთილი და მოსაწონი მოწმობა არის თქვენის მხრით, აღმაშენებელნი და შემავალნი ამის ეკლესიისანო, ეს მშენებელი შენობა. ღღევანდელი თქვენი სიხარული, აგრეთვე სხვათა, რომლნი მოვიდნენ და დაესწრენ ღღევანდელსა ღღესასწაულსა, მოწმობს, რომ თქვენ ერთგულნი ქრისტიანნი ხართ.

ბარნა, ძანო ჩემო, თუ კარვად გონიერად არ მოიხმართ ამ ეკლესიას, თუ კვირა დღეს, ნაცულად ამ ეკლესიაში მოსვლით, წახვალთ შუა ბაზარში და შთაფლეთ ით სოფლიურსა ამოობასა შინა, ეს არ იქნება კარგი მოწმობა ღვთის წინაშე. ბარნა შეწყვენითა ღვთისათა, თუ ერთგულად ვცდებით და ამ ეკლესიის საშუალებით მიიღებთ იმოდენსა მადლსა და სულიერსა შემწობასა, რაოდენიც შეუძლია მოგანიჭოს თქვენ ამ წმინდა ეკლესიამ, მაშინ თქვენ იქნებით გონიერი ძრისტეს მოწამენი, რომელიც და მოგვანიჭოს ჩვენ ყოველთა ღმერთმან ღოცვითა წმ. ღიდისა მოწამისა ბიორგისათა. ამინ!

ნაწირებს ყოველად სამღვდლო სხვა საპატრიარქო პირებიტურთ კომიტეტს წვერებმა მიიპატივეს საღილზე, რომელიც მომზადებული იყო ბ. ისიდორე ბაბაშვილს სახლში. საღილზე ყოველად სამღვდლოს მუთისის ქალაქის თავმა ბ. პათიანმა უთხრა სიტყვა, რომელსაც შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ ვკითხულობთ «ივერია»-ში შემდეგ ახრიბულს ცნობას:

დღემდე სასულიერო სემინარიაში სწავლის ფასს ასდევნიებდნენ ყველას, ვინც სასულიერო წოდებისანი არ იყვნენ. ასდევნიებდნენ (?) წელიწადში 40 მან. იმ მოსაზრებით; რომ ზოგნი ამისთანა მოსწავლეთა შორის იმეტომ კი არ შედიოდნენ სემინარიაში, რომ ბოლოს ემსახურნათ ეკლესიის სასარგებლოდ, არამედ იმეტომ, რომ სამოქალაქო და საერო სამსახურის უფლებანი (!?) მიუღოთ და სამხედრო ბეგრის გადასახადში შეღავათი ქმნიდნათ (!?). ახლა უწმინდეს სინოდს შეუტყვიან, რომ ბევრი თურქე შედიან სასულიერო სემინარიაში ისეთი ღარიბნი ანა სასულიერო წოდებას უმაწავლნი, რომელთაც არავითარი ღონისძიება არა აქვთ სწავლის ფასის გადასდისა, ისე რომ მათგან სწავლის ფულს აღება სწავლის აღკრძალვას უფრო ემსახურება, მაშინ როდესაც ბევრს მათგანს დიდი სურვილი აქვს სემინარიის საერო სწავლისა, კეთილსა და სათნო სასიამოთისნიც არა და იმედიც არის, რომ ამისთანანი ბოლოს კარგს სამსახურს გაუწყვენ სასულიერო წოდებასა და წმიდა ეკლესიას. ყოველ ამის გამო უწმ. სინოდს გადაუწყვიტა წელს განთავის უფლებულ იქნან სწავლის ფასის გარდასახდას: გან ისეთი შატრდები არა სასულიერო წოდებისანი, რომელთა დედ-მამანიც დარბებან იქმნებან დასახულნი სემინარიის მთავრობისაგან. განთავის უფლებულნი იქმნებან მხოლოდ იმ შირობით კი, რომ, როცა სასულიერო უწყებაში.

დაიწყო სანსახურს, მაშინ გადასდეთ ზემოხსენებული სწავლის ფასი წელიწადში 40 მან. იმდენს ხანს, რამდენს ხანსაც დაჭეოყენ სემინარიაში.

წარმოიდგინეთ, «ივერიას» დღემდის არ სცოდნია, რომ არსად სასულიერო სემინარიაში სწავლის უფლებებისათვის მოწაფენი ფულს არ იხდიდნენ! ეს გარდასახადი მარტო წელს შემოიღეს და შემოიღეს აი რისთვის? 1867 წლამდე მღვდლად კურთხევა შეიძლებოდა მარტო სასულიერო წოდების შეიღებისა, მაგრამ ამათი რიცხვი ძლიერ ცოტა იყო. ამისათვის ყველა წოდების პირთ მისცეს ნება სემინარიაში შესვლისა. ღღეს, მადლობა ღმერთს, მარტო სასულიერო უწყების პირნი იმდენია, რომ მღვდლობის ადგილსაც ვეღარ შოულობენ. სამღვდლოება დაბეგრულია სემინარიის შესანახავ ხარჯით და ერის კაცთა შეიღები კი მუქთად იღებდნენ სწავლას. ამისათვის სინოდმა მოითხოვა, რომ საერო წოდების მოსწავლეთა გარდახდეს სწავლის უფლებებისათვის ფული და კიდევ უნდა გარდახდენინო. ზოგიერთნი ღარიბნი და ნიჭიერი მოსწავლენი განთავისუფლებულ იქმნებოდნენ, როგორც დღემდის იყო სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელში და არა სინოდის ახალი უქაზის ძალით. ამდენი ტყუილების წერას ის არ სჯობდა, რომ «ივერიის» რომელიმე თანამშრომელი მისულიყო და მართალი ამბავი შეეტყო სემინარიაში?

* *

ბათუმის ოლქიდან გვწერენ: «სოფ. ალაგბარში სცხოვრებენ ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც ქართულად ლაპარაკობენ. ამათ აქვთ საკუთარი ჯამე და ხოჯათ ქართველი კაცი ჰყავსთ, მამულ ეფენდი ხანუტ-ოღლი (კობახიძე). ამ სოფელში არის ძველი ნაეკლესიარი, სადაც მარტოდ ნამტერევი ქვები-ლა არის დაშენილი. ქართველი მაჰმადიანები ამ ქვებს დიდ პატივს სცემენ და ხშირად შეწირულება მიაქვთ. მაგალითად ამ მოკლე დროში, ერთ ამ ნანგრევ ქვის გვერდით მე ვიპოვენი ორი ნაჭერი კოშტის სამთლისა, ერთზე ორი კაპ. იყო მიკრული და მეორეზე სამი კაპ. ამ სამთლის ნაჭერებს გარდა აქ სწირავენ ხოლმე ნართს, ბამბას, ფულს და მამლებს, ყველა ამ შეწირულებას ხალხი ხელს არ ახლებს. აქ ეს შეწირულება რჩება დიდ ხანს. ამ ნანგრევების ადგილს წმ. ბიორგი უმუშანეთისას უწოდებენ. ხსენებული წმინდა სამთე-

ლი ერთი კვირის წინეთ შეეწირათ. მრთს ოჯახში პატარა ცმაწველი გახდენიათ ავად და ამის გამო შეუწირავსთ, რომ ბავშვი მოგვირჩესო. ამავე ეკლესიის ნანგრევებთან ძველი საფლავის ქვებიც ხანს. აქიქ სხვა ეკლესიების ნანგრევებიც არის და ამ ნანგრევებს ხალხი დიდს პატივს სცემს, მხოლოდ ჩუპათ-კი. უმეტეს ადგილებში კი ეკლესიის საძირკველზედ არის გაკეთებული ჯამეები. ხალხს ქანელი და ოსმალეთიდან მოსული ხოჯები ძლიერ უკრძალავენ ამ ნაშთების თაყვანის ცემას. აქაური მაჰმადიანი ქართველი ხოჯები კი არ უშლიან».

* *

მარტვილის საბლადოჩინო ოლქის წეციცხვავეს წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდლის პორფირე ოსიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მამო რედაქტორო! სასიხარულო მოვლენაა, რომ რწმუნებულის ჩემდამო წეციცხვაივს წმ. ბიორგის ეკლესიის მრაველი ამ დროებით დიდს ყურადღებას აქცევს თავის ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს და დიდს თანაგრძობასაც იჩენს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. მი თოყული მთვანი სწირვენ ხსენებულს ეკლესიას თავის შეძლებისამებრ. მაგალითად: თეიმურაზ ივას ძე თოფურიამ შემოსწირა ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოეზი და გასაზავებელი დაფარებითურთ, ღირებული 27 მან., ხახვა ივას ძე თოფურიამ—ერთი დიდი სახარება, ღირებული 12 მან.; სტეფანე ბასას ძე თოფურიამ—ერთი დროშა ღირებული 18 მან.; ბეკო ხეიარეივას ძე თოფურიამ—ერთი სანაწილე ღირებული 15 მან.; მესტატე თოფურიამ—ორი დიდი შანდალი, ღირებული 29 მან.; ქოსტა ივას ძე თოფურიამ—ერთი კანდელი, ღირებული 12 მან.; იორდანე ნიკოს ძე ბეალიამ—ერთი ღეთის მშობლის ხატი, ღირებული 6 მან. და მესტატე ბაბრიელის ძე ჯიქიამ ღეთის მშობლის ხატი, ღირებული 8 მან., სრულიად—127 მანეთისა; ამ ხსენებულ პირთ თქვენის პატივცემულის გაზეთის შუამდგომლობით გულითად მადლობას ვუძღენი როგორც მე, ისე ჩემი თანამოსამსახურე და იმედი მაქვს, რომ ხსენებულთ კეთილ პირთ სხვანიც წაბადენ».

მთლიანად მისი თქმულია და ფულიც დასრულდა. მთლიანად მისი თქმულია და ფულიც დასრულდა.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნებობაზედ.

ს ი ტ ყ უ ა

თქმული ამკრეთი ეპისკოპოსის, გაბრიელის მიერ.

29 აგვისტოს, ნათლის-მცემლის თამის-კმითსა.

რამეთუ იროდის ეშინოდა იოანესი, და იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდა არს, სცვიდა მას, და ისმინის მისი, და მრავალსა პატივსა უყოფდა, და ჯეროვნად ისმენდა მისსა. (მარკ. ვ. კ).

იოანე-წინამორბედის და ნათლის-მცემლის თავის-კვეთასა ლოცვითა და მარხვითა იხსენებს დღეს, ძმანო ქრისტიანენო, წმიდა ეკლესია. მივაქციოთ ჩვენცა, ვითარცა მორჩილთა შეილთა ეკლესიისათა, ყურადღება ამ შესანიშნავს მოხდენასა და გავიგოთ ჰაზრი და სწავლა, რომელსა იპყრობს იგი. რა სახით მოჰხდა ეს შემთხვევა, როდის და ვინ მოჰკვეთა თავი იოანე ნათლის-მცემელსა, ეს ვერცა და ნათლად გვაცნობა ჩვენ დღეს წაკითხულმან სახარებამან; ჩვენ მხოლოდ აღვხსნით, რა მნიშვნელობა აქვს ამ მოხდენასა და ვითარსა სწავლასა ვხვდებით ჩვენ მას შინა.

პირველად მივაქციოთ ყურადღება, ძმანო, იმ სიტყვათა ზედა, რომლითა ვიწყებ ეს უბნობა: რამეთუ იროდის ეშინოდა იოანესი და იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდა არს, და სცვიდა მას, და ისმინის მისი, და მრავალსა პატივსა უყოფდა, და ჯეროვნად ისმენდა. ამ სიტყვებისაგან ცხადად სჩანს, ძმანო ჩემნო, რომელ იროდი მეფე, მეტელელი იოანესი, იცნობდა იოანეს, ვითარცა კაცსა მართალსა და წმიდასა; იგი იცავდა მას; ისმენდა მისსა სწავლასა და პატივსა სცემდა მას; მაშასადამე მას არ ჰსურდა

მისი მოკვლა. როგორღა მოხდა, რომ მან უბრძანა მოკვეთა თავისა მისისა? როგორ მოჰხდა, რომ იროდი მეფემ კაცი, მისგან პატივ-ცემული, წმიდად და მართლად ცნობილი, ჯერედ ჩაავლო საპყრობილეში და მერმე თავი მოჰკვეთა? ეს მოხდა, ძმანო ჩემნო, მისთვის, რომელ, საუბედუროდ, იროდი მეფეს ჰქონდა ხასიათი სუსტი, შერყეული, უღონო და დაუდგრო-მელი; იგი იქცეოდა არა თავის კუთით და ნებით, არამედ სხვის შეგონებითა და შესმენითა. მას არ ჰქონდა ესოდენი სიმტკიცე ხასიათისა, რომ აღესრულებინა თავისი სურვილი და ჰაზრი, და ყურადღება არ ეთხოვებინა ბოროტთა კაცთა შესმენისათვის. თუმცა მან იცოდა, რომ იოანე იყო კაცი წმიდა და მართალი, და პატივს-სცემდა მას; გარნა, რადგანაც ბოროტმა იროდიამ, უკანონო და უსჯულო ცოლმა მისმა, რომელსა სძულდა იოანე და რომელი ეძიებდა მარადის მისსა სიკვდილსა, შევასმინა იგი და გამოითხოვა თავი მისი; სუსტმა და უხასიათო იროდი მეფემ დაიჯერა მისი თხოვნა და უბრძანა მეზრამელსა თვისსა მოკვეთა თავისა იოანე წინასწარმეტყველისა.

ჰჰა, ძმანო, რა დიდი უბედურებაა, როდესაც კაცი არის მოკლერიული ხასიათის სიმტკიცესა; რა საცოდავი და საბრალო არის ის კაცი, რომელსა აქვს ხასიათი დაუდგრომელი, უღონო. მსრელი კაცი, თუ გინდ მას ჰქონდეს დიდი ჰკუა და განათლება, ამასთანავე გულიცა ჰქონდეს კეთილი და სძულდეს ყოველი უმართლო და ბოროტი საქმე, ვერასოდეს ვერ აღასრულებს ვერცა ერთსა კეთილსა საქმეს; იგი უთუოდ შთაეარდებდა ხელთა შინა ერთისა რომლისავე ბოროტისა კაცისასა, რომელსა აქვს იმაზე უმტკიცესი ხასიათი, და შეიქმნება მისი სათამაშო. იროდი იყო მეფე, მაშასადამე მას არავისი არ ეშინოდა და მისი წინააღმდეგობა არავის არ შეეძლო. იოანე ნათლის-მცემელი მას პატივში ჰყავდა, გარნა როდესაც მზაკვარმა ბოროტმა იროდიამ მოინდომა, ადვილად მიხდრიკა იგი საშინელისა საქმისადმი და მოაკვეთინა თავი იოანეს თავისთვის, რომ იროდის ჰქონდა სუსტი ხასიათი.

ჰჰა, ძმანო, პირველი და დიდი სწავლა, რომელსა გვაძლევს დღეს წაკითხულის სახარებისაგან მოთხრობას, უოველსა კაცსა, დიდსა და მცირესა, მდიდარსა, და ღარიბსა, უკეთუ ჰსურს, რომ იგი იყოს კაცი, ადამიანი და არა პირუტყვი, თავის თავის და ქვეყნის სასარგებლოდ უნდა ჰქონდეს სიმტკიცე

და სიმაგრე ხასიათისა, ესე იგი, იქცეოდეს თავის სინდისით და ჭკუით და არა სხვის შეგონებით. ძაცი, მოკლებული ხასიათის სიმტკიცესა, ვერ მიიყვანს ზოლომდე ვერცა ერთსა უმცირესსა საქმესა. ხოლო უმეტესად ყოელისა მტკიცე ხასიათი არის საქრო ქრისტეანესათვის თვისის სჯულის აღსრულებასა შინა. ძრისტეს სჯულის აღსრულება მოითხოვს დიდსა სიმტკიცესა. ძრისტეანული ცხოვრება ამ ქვეყანაზე არის ერთი მხოლოდ დაუსრულებელი ბრძოლა და ჭიდაობა. ამ ბრძოლასა შინა გამარჯვებული იქმნება მხოლოდ ის, რომელსა აქვს მტკიცე ხასიათი. ხოლო სუსტნი და დაუდგრომელნი ხასიათითა იქმნებიან ძლეულნი და დამარცხებულნი.

მეორედ, მივაქციოთ ყურადღება მას ზედა, რა მდგომარეობასა შინა იყო იროდი, როდესაც მან უბრძანა მოკვეთა იოანეს თავისა. იგი იჯდა დიდსა სუფრასა ზედა, გარემოცული მრავალთა თვისთა მოწვეულთა სტუმართაგან, და მიტაცებული სმისა და ჭამისაგან. ეს უეჭველია, როდესაც მან უბრძანა ესრედი საშინელი საქმე, იგი იყო დამძიმებული ღვინის სმითა. ბილწმა იროდია დედა-კაცმა კარგად იცოდა მისი ხასიათი და გამოარჩია მარჯვე დრო, როდესაც მეფე იყო დამძიმებული ღვინითა და მაშინ მოითხოვა მოკვლა იოანესი. მაშასადამე, ვისწავოთ აქეთგან, რა დიდი ცოდვა არის უზომო ჭამა და მეტადრე სმა. საუბედუროდ, ჩვენს ქვეყანაშიაც ერთი წელიწადი ისე არ გავა, რომ სადმე ერთი უბედურება არ მოახდინონ კაცთა, ღვინით დამძიმებულთა, ზოგან ღვინით მთვრალნი კაცნი წაეჩხუბებინ და დასჭრაინ ერთმანეთსა, ზოგან კიდევ მოჰყენენ. საკვირველიც არ არის! უშიზელი კაციც ზოგჯერ თუ ვერ გაუმარღება თავის ცუდს ხასიათს და წარტაცებული იქმნება თვისითა გულ-ფიცხელობითა და ავუნეობითა, კაცი, რომლისა ჭკუა და სენდისი დაზნელებული არის ღვინითა, როგორღა შეჰსძლებს წინააღმდეგობას განსაცდელისასა.

ბოლოს, ამაზედაც მივაქციოთ ყურადღება: იროდი მეფემ ფიცით აღუთქვა ბილწსა დედა-კაცსა,

მროკველსა მიცემად მისდა ყოელისა, რაიცა მან ითხოვოს, და როდესაც მან შეგონებითა დედისა თვისისათანა ითხოვა თავი იოანე ნათლის-მცემლისა, მაშინ შესწუხდა იგი; მაგრამ აღარ უნდოდა დარღვევა ფიცისა თვისისა და უბრძანა მოკვეთა იოანეს თავისა. აქედგან ვისწავოთ, ძმანო, რა ცუდი არის ადვილად და სიჩქარით ფიცის თქმა. ზოგიერთი კაცი ადვილად და განუზრახველად დიდი ფიცით დააჩმუნებს ზოგჯერ და აღთქმასა მისცემს მოყვასსა, გარნა ბოლოს რძულეებული იქმნება ანუ დარღვევად ფიცისა, ანუ აღსრულებად რომლისამე ბოროტისა საქმისა. მრავალ გზის მომხდარა სოფლებში, რომ ყოველთა გლეხთა და აზნაურთა ხატზე შეუფიცნიათ ერთმანერთისათვის, არა თუ რომელსამე სასარგებლო კეთილს საქმეში, არამედ ცოდვილის და წინააღმდეგის საქმისათვის, მაგალითებრ: ამა და ამ კაცს ერთად უჩივლოთ და უმტეროთ; თუ ვინმე ჰკითხა, რათ უჩივით ამ კაცს, რას ერჩით, დანაშაული რით არისო, უპასუხებენ: რაეჭვნათ, შეფიცებულნი ვართ, უნდა ვუჩივლოთო. სწორედ ამ სახით მოუვიდა იროდი მცფეს. წინაღვე დაუფიცა იროდიას აღსრულება მისის თხოვნისა; მერმე კი მიჰხვდა, რა ცუდად მოიქცა, მაგრამ უსაფუძვლო სიჩქარეობით უარი აღარ სთქვა. არ უნდა დაეფიცა აეჩქარებულად და უსაფუძვლოდ, გარნა რადგანაც მოუვიდა ესრედი უგუნურება, უმჯობესი იყო დაეცნა თვისი უგუნური ფიცი და არ შთაეარდნილიყო ესრედსა საშინელისა ცოდვასა შინა.

და ესე სამი სასარგებლო სწავლა გამოვიყვანეთ დღევანდელი სახარებთგან. პირველად ის, რომ ყოელს კაცს უნდა ჰქონდეს მტკიცე და მაგარი ხასიათი; მეორედ, უნდა ერიდებოდეს უზომოსა ჭამასა და სმასა; მესამედ, აღაოდეს არ უნდა დაიფიცოს უსაფუძვლოდ და განუსჯელად.—ამინ.



ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა .

გუგურები

ბ ა ჯ გ ა ნ ტ ი ს ა .

(გაგაძელება*).

ამას გარეთ ბატონმან ღადიანმან ბატონის ლიპარტიანის სულისათვის ხუთი კუამლი კაცი, ზოგი აქვე და ზოგი სხვაგან ხატსა შესწირა და მე მახოძა და მე შეკომიმატებია და ჰყონდიდელს აჟუაქიძისა-განცა საკრფევი მამულები მიშოენია და შექიმა-ტებია. იმ ადგილის ძველის ლიპარტიანების-განცა ქონდა ხატსა შესწირული კაცები და აწ ჩვენ კარება—სასახლე გავიკეთებია. ამას გარეთ ნაგეზაურს ორი კვამლი კაცი იყო მარტო ბეგარა ჩვენი იყო და სხვა სამსახური ლიპარტიანისა ედვა. შევეხვეწეთ ძახელსა ბატონსა ლიპარტიანს და ეს კაცებიც სრულიად მკვიდრად დაძანება და ახლა ეს მე შემომატებია.

ამას გარეთ ეს ორი კუამლი კაცი საკანონოდ ჰილაძესა ლომკაცსა დავადებინეთ და შევაწირინეთ. მრთი კუამლი კაცი რევანოზს ჰილაძის შეელსა დავადებინეთ ოფისკუტს და შევაწირინეთ. ამას გარეთ მათხუჯს სასახლე ვამიკეთებია და შექიმაკა საკურითა, ტახტითა, დარბაზითა და შეფუაახლითა, საწოლის სახლითა და ჭიშკრითა და მისის ჯიხურითა. სალო-ბი არ იყო და ახლა სალობი მე ვამიკეთებია და მეთევზეც ვამირიგებია. ამას გარეთ ჯაქთუბანს სასახ-ლე არ იყო და სასახლე მე ვამიშენებია დარბაზითა, ჯახურითა, მარნითა, ბელლითა და სხვა სახლებითა და ჭიშკრითა. ადგილები მიშოენია, მეთევზენი ვამი-ჩენია და არიან... 1)

ბეგრის ნუსხაშია სწერია. ამას გარეთ სოფელი ბეგუთს მევესა ბიორგის ესთხოვე... და სამი კუამლი კაცი მან მიბოძა... ამას გარეთ ნაგეზაურის დადი სახლი ვამიშენებია სასახლე ვამიშენებია.

(ქ ხუთი სტრიქონი სრულიად აღარ სჩანს, ისეა გადასული მელანი. ადგილ-ადგილ ვაირჩევა წვალებით სიტყვები: «მქონდა», «შემიწირავს» და

*) იხ. «მწეგმისა» № 13, 1891 წ.
1) მელანი გადასულია.

სხვა, მაგრამ აზრის აღდგენა შეუძლებელია. არც თე დიდად სამწუხაროა, რადგან აქაც, როგორც ამას წინ ჩამოთვლილი უნდა ყოფილიყო, რა შეუ-მატებია და რა გაუკეთებია).

ამას გარეთ ბურთის ოცხანას კუამლი კაცი შეესწირე. სასახლე არ იყო და შევეხვეწეთ ბატონს მამია ბურთელს და დიდის ქრთამით მომაქრთამა საყდრით, სახლებით, მოსახლეებით, სათივითა, საყა-ნითა... და მისის ყოველისფრითა. (ბოლოში ათი სტრიქონი სრულიად ამოშლილია).

პირველ გვერდზედ მოწერილია ერთს მხრივ შემდეგი: ჩვენ მრისტეს მიერ კურთხევითა კურთხეულმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათოლიკოზმან ლორთქი-ფანიძემ პატრონმან ბრიგოლ კვალად გვადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ცათა მზაძესა ბიჭ-ენის ღეთისმშობელსა ერთი კუამლი კაცი ნარმა-ნიაჲ ბარვაბიხო და მისი ძმაჲ ასრე რომე შუაჟუ შარვაშიძის იყო და ჩვენ ვიშოენეთ, დავასახლეთ და შემოგწირეთ მათის ცოლშვილითა სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათა. ბეგარას და სამსახურს გარეთ სამი ლაღარკი 1) სანთელს ბიჭვინტის ღეთის-მშობელს მაართმევედეს, ყოველს წელიწადს ვინცა მის ტომმან კაცმან გამოგწიროს მას რისხავს თავად ღპერთი მამაჲ, ძე, სულიწმიდაჲ და ბიჭვინტისა ღეთის მშობელი. ნუცა იქნების ხსნა და გამოხსნა სულისა მისისა აწდა უკუნისამდე. ამინ.

მეორე თავახზედ ვკითხულობთ შემდეგ მინა-წერს სიტყვებს:

ატრეთვე გვადრეთ და შემოგწირეთ თქვენ სა-შინელსა და ცათა მზაძეს ბიჭვინტისა ღეთის-მშობელსა ჩვენ კათოლიკოზმან ნეესადემ ღაეთ 2) თეკლათს ბრიგოლია მე...ლი 3) შვილი ხოხონაო მისის ცოლშვილითა სხვის შვილითა, სახლკარითა ჭურმარნითა, მამულითა, ტყითა, ველითა, საყანითა ვასაველითა და გამოსაველითა, საძებრათა და უძებრი-თა დღეს რისიც მქონებელი იყოს მისის სამართლია-ნის საქმითა და მისის ეკლესიის სასაფლაოთი ასრე რომე შირან მხეიძემ ბიჭვინტისა ტყეები დაყიდა

1) «ლაღარკი» მეგრულად წონაჲ, დაახლოვებით ერთი გირვანქა. ნახე ჩემი „ზედ-წარწერათა გარჩევა“ გვ. 57. ბროსესს საც შეხვედრია ლაღარკონი სთარგმნის «САЛО»-დ-ეს შეცდომა.
2) იწერება დათ.
3) ორი ასო წაშლილია.

ოთხი და იმას გარდა სახლებით გამოვარაუთ და სხვა ნიშანით ვაქეთ. აწე ვინცა და რომელმანც ძემან კაცისამან ან ღადიანმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ სხვამან ამისდა შლად და ქვე-ვას და გმობას ხელყოს, მასამც რისხავს თავად ღმერთი მამაჲ, ძე და სულიწმიდაჲ. წყეულ და კრულ და შეჩვენებულიმც არის მისი სული და ხორცი და აქა და მას საუკუნოსა. ნუმცა იქნების ხსნა და გამოხსნა მას აწდა უკუნიაჲმდე ამინ.

მესამე მიწერილი ადგილი ასე იკითხება:

აგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ სა-შინელსა ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა ჩვენ კათო-ლიკოზმან ნეესაძემ ღვით ხარაშედია ქრისტეშია და მისი ძმისწული ხოსია მათის ცოლშვილითა, სახლ-კართა, ჭურმარნითა, მამულითა, ტყითა, ველითა, გასავლით და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა და მისის ეკლესიის კართა, ასე რომე პეჟუნა, ჩაჩუმ ჩვენი წულისკარი მოგვარა, გამოვიჩინეთ და გადა-სახადშიდ გამოვართეთ ბატონის ღადიან-ბურიელის ნება დართულობით. აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ანუ ღადმან, ანუ მწირემან, ანუ ღადიან-ბურიელმან ამისნი შლად და ქვევად ხელყოს მასამ-ცა რისხავს თავად ღმერთი და მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი.

მეოთხე მოწერილი ეკუთვნის მეფე სვიმონს:

ბკადრეთ და შემოგწირეთ შენ საშინელსა ბიჭ-ვინტისა ღვთისმშობელსა ჩვენ მეფეთ მეფემან სვიმონ ჩხარს მქონის საყდარი, მისის გარემო ადვილებით ჩვენის სულის საოხად.

მეხუთე მინაწერი შემდეგია:

აგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ ჩვენ ლიპარტიმან ბიორგი და ძემან ჩვენმან შამაყ და თანა მეცხედრემან ჩვენმან ღადიანის ქალმან ბატონმა ანა (ანნა) თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა სასახ-ლე ნავაზაო რვის კუამლის კაცითა სახსრად და საოხად სულისა ჩვენისა. ამინ.

1) იწერება «გამყ». «გაჟეუ დაღიანი» იკითხება გუჯარში 1661 წ. (ძერკ. მუდჰ. 146) აგრეთვე 1657, 1658 და 1659 წწ. (i.bid., გვ. 145).

მეექვსე მონაწერი ფრად მოკლეა:
ნამაშვეს ოთხი კომლი კაცი ჭოლადქნი.

მერვე მონაწერი:

ქქესი კუამლი კაცი და ერთი სასახლე ზაალ ლუღძისა (ღულაძისა?) შეეწირეთ ბიჭვინტისა ღვთის-მშობელსა ბოდოვანს.

მეცხრე მონაწერი წერილი ასოებით კარგად შენახულია:

ოთხილი სასახლე ორმოცის კუამლის კაცითა და ხუთეული სასახლე ორმოცის კუამლის კაცითა მათის შესავლით და გამოსავლით და სათევზოთი.

მეთე მონაწერი:

შნდა მოიტანოს აშურლამ მახარობელმან დეკა-ნოზის კაცმან ერთი ჩარეკი საკველი სადიდმარხოთ, ხატის მიწა აქეს, შიგნით ეზოშიდ. 1)

მეთერთმეტე მინაწერი ვრცელია:

ჩვენ ძრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათოლიკოზმან პატრონ-მან ღვით შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა ოცხანის გლეხი სხვედაძე ბიორგი და მისი ძმაჲ მამინა და სახნია მათის ცოლშვილითა მისის სამოსახოთა დღეს რის მქონებელიც იყოს, მისის სამართლიანის საქმითა ასრე რომე სხვედაძეს ჩვენი დახსნილი მერეკიფე სეხნია ძალანდაძე შემო-აკვდა და სისხლშიდ ბეჟან ბერიძეს ჩვენ გამოვართეთ და ჩვენ ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა შეეწირეთ. აწე ვინცა და რამცა ძემან კაცისამან ანუ ბურიელმან, ანუ ღადიანმან ან ღადმან, ან მცირემან ეს ჩვენგან შეწირული შლად და გამოჰმად ხელყოს, ისიმც შე-იშლება რჯულის ქრისტიანობისაგან, ნუმცა იხსნის წირვა და ლოცვა, წყეულ კრულ და შეჩვენებულიმც იქმნების მისი სული და ხორცი ცოლითა და შვილითა რაც ამ დავთარშიდ წყეულა და შეჩვენება ეწეროს მის თავსა და მის ცოლსა და შვილებდამც აღესრუ-ლების აწდა უკუნისამდე. ამინ.

1) ხშირად ვხდებით ფორმას «შიდ» «შიი»-ს მაგიერად («ეზოშიდ» და არა ეზოში). ეს პროვინციალიზმია.

მეთორმეტე მინაწერი მხედრული ასოებით:

ბგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ სა-
შინელსა და ცათა მბაძაქსა ბიჭვინტის ლეთის-
მშობელსა ჩვენ კათოლიკოზმან ნემსაძემ ლავით
ხორგას ერთი კუამლი კაცი აზნაურის შვილი ბერუა
მორდებუ ორის მისის გლეხებით. მეორე კუამლი
ლასტურაი თომიხილი, მესამე კუამლი ლასტურაი
ბაბუა. მეოთხე კუამლი ლასტურაი ქოჩალია. მეხუთე
კუამლი ხოჩილაუა (?) ბაბაკაჩა. მეექვსე კუამლი
ხანაუა ხუხუტა. მეშვიდე კუამლი ხანაუა ხვანვალი.
მერვე კუამლი ხოჭილაუა ხეჩა. მეცხრე კუამლი
ცხილონია ჯვებილიე მათის ცოლშვილითა, სახლ-
კარითა ჭურ-ბეღელ-მარანითა, ეკლესიის კარითა,
სასაფლაოთი. ლღეს რისიე მქონებელნი იყვენ მისის
ყოველისფრითა. შეიწირე შენ საშინელო ბიჭვინტისა
ლეთისმშობელო და ნაცვალი გვაგე მადლი ნაშენი
დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

მესამეტე მინაწერი. ისევე, როგორც მომეტებუ-
ლი ნაწილი და თვით გუჯარი ხუტური ხელით:
მჰაშენ ცათა უფრცელესო ყოვლად წმიდაო და
ყოვლად საკვირველო, რომელმან მპყრობელი ცისა
და ქვეყნისა იტვირთე მკლავითა ზედა და მზრდელსა
ყოველთასა ძუძუთა ზრდილი. საკვირველ არს შობა
შენი და უსაკვირველეთი ქალწულად დადგრომა შენი
და გამოუთარგმნელ საიდუმლო შობისა შენისა, ყვაე-
ლო უზრწნელებსა, ქალწულო სანატრელო, წმიდაო
ახლო პირმეტყველსა ცისა ცათასა უხალღესო, ყო-
ველთა ტრამთა დედო დიდებო შენ ჩვენ ცოდვათა
ხსნისა მოსალოდებელო სასოებო, ბიჭვინტისა
ლეთისმშობელო გვევლეობით ჩვენ უღირსნი და
უხმარნი მონანი შენნი ცვაფარეთა მინდობილნი
მეფე შიორგი ძე ბაგრატის და თანამეცხედრე ჩვენი
დედოფალი პატონი აბაშიძის ასულა. თამარ შე-
მოგწირეთ ძონათს გლეხი ერთი რუხაძე ბიჭელა და
ბუგუტე იმათის ცოლშვილით, სახლ-კარით, ჭურ-
მარანითა ტყითა, ველითა. ვენახითა, სათიბითა, წყლი-
თა, საწისქვილოთი, მისის სამართლიანის სულისას
ჩვენის ცოდვილისა საოხად ამ სოფლის წარსამართებ
ლად აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, ანუ
მეფემან, ან დედოფალმან, ანუ დიდმან, ანუ მკირე-
მან მოშლად ხელყოფად იკადროს ანუ სხვისამან
კაცმან ძალად და უსამართლოდ გარდაეკიდოს მსახატა

რისხავს შობა და განხორციელება ძისა შენისა, ნუცა
ამა სოფლისა ძენი აღზრდებიან და ძირითურთ
ალიფხერებიან, სულით და ხორციით იმიერ და ამიერა
სოლომისებრა დაიმხოზიან.

მეორე გვერდზედ შემდეგი მხედრული მინაწერი
ეკუთვნის კათოლიკოზს ბრიგოლს:

ჩვენ აფხაზეთისა კათოლიკოზმან ბატონმა
ბრიგოლ ესე წიგნი დავედეთ და განვახლებთ ასრ
რომე ქოპალა სალდა ქაისიშვილი ლავითს ძათო-
ლიკოზს ეშოენა და ხატისთვის შეეწირა. მერე ახლა
ჩვენ გავეცხლებია და ჩვენც ხატისთვის შეგვეწირავს
ქოპალა სულ და ქაისიშვილი რისიე მქონებელი
იყოს ყოველისფრითა. და ვინც გამოაწიროს რისხავს
ბიჭვინტისა ლეთისმშობელი.

ძიღვე მხედრული ხელით მინაწერი:

ქვალად შემოგწირეთ შენ ცათა მობაძაქო ბიჭ-
ვინტისა ლეთისმშობელო, ჩვენ ცვაფარეთა შენ თა
მონდობილმან და განძლიერებულმან და კვალად
განძლიერებისა მომლოდნელმან მეფემ შიორგიმ
ძემან ბაგრატისამან და თანა მეცხედრემან ჩვენმან
ასულმან აბაშიძისამან დედოფალთ დედოფალმან
ბატონმან თამარ შემოგწირეთ ერთი გლეხი მარდა-
სანიძე ზოსია ჩხარს ცოლშვილითა და ძმისწულითა,
სახლკარითა, ჭურმამულითა, ტყითა, ველითა, ეკლეს-
იის კარითა, უძებარ-საძებარითა, მისის ყოველის-
ფრითა შეიწირე კნინი ესე შესაწირავე სასოებავო
ჩვენო, ბიჭვინტისა ლეთისმშობელო, ჩვენდა საღლე-
გრძელოდ და სულისა სახსრად და საოხად აწე ვინცა
და რამანცა ძემან კაცისამან მეფემან, ანუ დედო-
ფალმან, დიდებულმან ან აზნაურმან ეს ჩვენცან
შემოწირული შენ გამოგწიროს, შენ და ძენი შენი
გაუორისხდი და ჩვენის ცოდვის ნუქარაბადამცა. ის
განიკითხავს დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ამინ. 1)

შენიშვნა: ეს შესანიშნავი გუჯარი დაწერილია
ტყავზედ, რომლის სიგრძე ორი მეტრი და ოც-და-ორი
სანტიმეტრია, სიგანე 18 სანტიმეტრე. ხუთი ცალ-

1) თითო ოროდო სიტყვა სუსტად სჩანს კიდევ აქა-იქა,
მაგრამ მათი გარჩევა შეუძლებელია, რადგან შელანი სრულე-
ბით გადასულა.

კალკე ფურცელი ერთად არის გადაკერილი თეთრი ქაფით. თავში ამ გუჯარს უძვეეს ქალაქად, რათა გახეული გუჯარი მტკიცედ შეინახოს. დაწერილია წერილი ხუცური ასოებით, შავი მელანით, ალაგ-ალაგ სინგურით არის გამოყვანილი ასოები და მთელი სიტყვები (БИНОВАРЬ), გვერდებზედ მინაწერი მომეტებული ნაწილი იგივე ხუცური ასოებისანი არიან, თუმცა გვხვდება მხედრული ასოებითაც. ასოები, საცა მელანი შენახულა სწორედ არის გამოყვანილი, მხოლოდ «ბ» და «შ», რომელნიც მეტად წაავგანან ხუცურს ანბანში და ძველს ხელთნაწერებში ხშირად ერევიან, აქაც არ არიან გარკვევით განსხვავებულნი, წინააღმდეგ «შ» იწერება ისე როგორც «ბ». სხვაფრივ პალეოგრაფიულის მხრივ ეს ხელნაწერი არ არის შესანიშნავი.

რაც შეეხება მის შინაარსს, მკითხველი უკვე დარწმუნდებოდა, რა მდიდარს ცნობებს იძლევა იგი ჩვენი ისტორიის შესასწავლად. იგი ერთის თავის ადგილით ავსებს მახტანგ მეფის კანონებს, მეტადრე იმ განყოფილებას, რომელიც შეეხება ეკლესიას და მის კრებულს. იგი ავსებს ჩვენს კანონმდებლობას იმ გვარად, როგორც уставъ Владиміра св. о церковныхъ людяхъ» «Русская правда»-ს. ეს გუჯარი ცხადათ გვიჩვენებს როგორ უყურებდა ჩვენი მმართველობა საეკლესიო წესწყობილებას. მართის სიტყვით იგი განძია ჩვენის საისტორიო ლიტერატურისთვის.

ჩვენა ვიცით საქათალიკოზო კანონები, რომელნიც მახტანგ მეფემ ჩაურთო თავის «რჯულის წიგნში». აქ მოხსენებულნი არიან თითქმის სუყველა ის პირნი, რომელთაც შეუღდენიათ ცნობილი საეკლესიო კანონები. მრთი შეხედვით შეძლება იფიქროთ, რომ ამ გუჯარში გამეორებულია კათალიკოზთა დადგინება მახტანგის წიგნში მოქცეულნი. მაგრამ რა კი დააკვირდებით მის შინაარსს ადვილად მიხვდებით, რომ ეს გუჯარი სულ სხვა მხარეს შეეხება ჩვენი რჯულებებისას. იგი უფრო ვრცელია და მრავალ მნიშვნელოვანი, ვიდრე დაბეჭდილი კანონები კათალიკოზთა, «ქართლის ცნებება» მოკვითხრობს ამ კანონების შედგენის ისტორიას:

ბიორგი მე-III მეფობაში (ბიორგი იყო ძმა როსტომისა. 1605—1639) შესდგა სამღვდლო კრება. «ყამებთა ამათ შინა, ამბობს მემეტანე, ვითარცა ვინილავთ იქმნა განტყეება ცოლთა, კლვბ კაცთა და იღუმალ ტყვის-ყოღვა და უჯერონი სჯულსა-

წედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისათვის შეკრბენ ქართლისა კათალიკოზნი მალაქია, აფხაზთა კათალიკოზნი ედომონ და ყოველნი ეპისკოპოსნი იმერთ-მღიშისანი, ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი შილიპე, საგარელი პოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იაკობ, ჩაისელი ძირილე! ამათ განაჩინეს მოქმედთა მათთვის ჯეროვანი შერისხენი, და წერნეს და შეაჩვენეს მომქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი». 1)

იგივე კათალიკოზნი მალაქია და მედემონ იღებდნენ მონაწილეობას კრებაზედ და ამტკიცებენ ჩვენს გუჯარს თავიანთი ხელიმწერით. ბარდა ამ ორი ცნობალი პირისა იხსენიებიან კათალიკოზნი მთთვიმე 2). მალაქია, მაქსიმე, ზაქარია და სვიმეონ და დავით. ზაქარიას და სვიმეონს ვაცნობთ ზემო ამონაწერიდამაც «ქართლ. ცხოვრებიდამ». დავით კათალიკოზი აფხაზეთის გვარად ნემსაძე, მაქსიმე იმერეთის კათალიკოზი, მალაქია «მურული კათალიკოზი» ცნობილნი არიან ისტორიაში. 3) რადგან აქ მოხსენებულნი კათალიკოზნი სუყველა თანამედროვენი არ იყვნენ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი «ხელმწიფით დამტკიცება» ერთ დროს არ ეკუთვნის. ეს შეიძლება ესთქვათ, რომ ეს გუჯარი შესდგა და შესრულდა მე-XVI—XVII საუკუნეში. ჯერ კიდევ ბროსემ შეამჩნია, რომ დაბეჭდილ აწ საქათალიკოზო კანონებში მოხსენებულნი პირნი სხვა-და სხვა დროს სცხოვრებდნენ (Bros. Hisf. d. l. Georgie II, 265, § 4). იგივე იუქმის ამ გუჯარზედაც.

მოხსენებული «მეფენიც» ეკუთვნის ამევე დროს მე-XVII საუკ. მამია და ძე მისი ლევან ლადიანი უნდა იყვენ მამია მესამე (+ 1532) და ლევან I (+ 1572), ძენი მისნი, აქ მოხსენებულნი ბიორგი მესამე (+ 1582) და მამია მეოთხე (+ 1590). ბურიელი როსტომ (+ 1564) და ძე მისი ბიორგი მეორე (+ 1600). ბიორგი მცვეთ-მეფე ძე ბაგრატისა უნდა იყვეს, ბიორგი მეორე, ძე ბაგრატ მესამე. პირველი ცოლი მისი გარდაცვლილა 1561, თუმცა

1) ქართლ. ცხოვ. II, 196.
 2) გვარად საყვარელიძე. ნახე თვით გუჯარი.
 3) ამ მალაქიამ განაახლა ჭაიშის მონასტერი, მიწის მგრით დაზღვეული 1618 წ. შემადგ წელს იგი ამორჩეულ იქმნ. კათალიკოზად. Brossef. Voyage archèol Bup. 29, 32, 34

სახელი ისტორიაში არ ვიცით. მს გუჯარი ავსებს ამ ნაკლს და გვაუწყებს, რომ პირველი მისი თანამედროვე იყო ასული აბაშიძისა თამარ.

რამდენადაც ეს სამეფო პირნი სრონოლოგიით უახლოვდებიან, იმდენად ძათოლიკოზნი შორდებიან ერთმანეთს. საკმარისია აღენიშნოთ, რომ მაქსიმე სცხოვრებდა მეთვრამეტე საუკ. და მალაქია მეთექვსმეტე საუკ. (ნახე ЦЕРК. Г.), ბრიგოლი აფხაზეთის კათოლიკოსი მენდიმეტე საუკ. მს გუჯარი უნდა იყვეს თანდათანობით შედგენილი და შემდეგ გადაწერილი და შემდეგ გადაწერილი ერთის ხელთ, როგორც ვხედავთ ახლა ამას. ცალ-ცალკე შეწირულებანი მეფეთა და ძათოლიკოზთა ბიჭინტია ლეთიამშობლეს ეკკლესიისთვის ერთად მოუქცევიათ და შიგ ჩაურთავთ საეკკლესიო დადგინება, რომლის დასაწყისი ეკუთვნის მეთექვსმეტე საუკ. შემდეგ კათოლიკოზებსაც იგი მიუღიათ და დაუპტიცებიათ. აქ მოხსენებული ბრიგოლ ლორთქ ფანიძე დაჯდა კათოლიკოზად მეღმონის შემდეგ სეიონ მეუის დროს (ძისა ალექსანდრე მეოთხე) 1699—1701 წ.

ამ გუჯარის გარჩევა «მენიშენაში» არ შეიძლება, ამიტომ ჩვენ გვაქვს აზრად ცალკე წერილი უძღენათ ამ საყურადღებო ნაშთს.

მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საქროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, შემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა :

12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა 6 » — ,, ორივე გამოცემა 4 »
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარდალაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვარდალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ზარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: ВЪ Къвирилы, въ редакцію газетъ „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ კვირულ ბაზოცემათა ძართულს

„მწყემსზედ“

ბ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საზოარცილო მართებლობათა, კონსისტორიათა და

რედაქტორი და გამომცემელი დეტ. დ. დამბაშიძე. Лоз. иензурою. Кутаисъ, 16 Сентября 1891 г.

Типографія редакціи (Ш. Д. Гамбашидзе) ВЪ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.